# საქართველოს კინო

ფასი ორი შაური

რედაქცია და კონტორა

ტფილისი—სახკინომრეწველობა, კეცხოველის ქ. № 7.

ტელეფონი 16—13, 14—02.

რედაქტორი ღებულობს ყოველდღე 12—2 ს.

განცხადება

1 გვ. სამი აბაზი, ტექსტში—ორი აბაზი, ტექსტის ბოლოს—ექვსი შაური.

ტფილისი

1924 წ. დეკემბრის 13.

№ 1 ორკვირეული სურათებიანი გაზეთი. ს. ს. ს. რ. სახკინომრეწველობის გამოცემა № 1


## საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა

საქართველოს კინო-წარმოებას არა აქვს დიდი ხნის ისტორია, მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებით არის აღნიშნული მისი განვითარების ყოველი საფეხური.

ოთხი წლის წინად არავინ დაიჯერებდა—რომ ქართული კინო ასეთი უჩვეულო წარმატებით გაიკაფავდა გზას, მაგრამ დღეს ყველასათვის ფაქტია ჩვენი მოულოდნელი გამარჯვება: ქართული კინო-სურათები სცილდებიან საქართველოს ფარგლებს, იჭერენ საპატიო ადგილს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში და იპყრობენ უცხოეთის ყურადღებასაც.

პატარა მასშტაბით, კუსტარულად დაწყებული საქმე, დღეს გაიზარდა დიდ სახელმწიფო წარმოებად, რომელსაც ეშლება წინ ფართო პერსპექტივები საქართველოს განახლებულ ცხოვრების ნიადაგზე.

შედარებით მეტად მცირე ხნის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობამ მიაღწია ღნიშვნელოვან შედეგებს. დღემდის მან გამოუშვა სურათები: „არსენა ჯორჯიაშვილი", „სურამის ციხე", „მოძღვარი", „წითელი ეშმაკუნები", „მამის მკვლელი", „დაკარგული განძი" და „სამი სიცოცხლე". მზადდება: „წითელი ეშმაკუნები"-ს მესამე და მეოთხე სერია: „შრომის ფრონტზე", „კამო", „რკინის კოლორტა", „ტარიელ მკლავაძე", „ხაჯი მურატ", „ამბაკო სამანიშვილი" და სხვ. შენდება ატელიე კინოფაბრიკა თავისი ლაბორატორიით და სხვა ტეხნიკური მოწყობილობით. მას აქვს გარდა ამისა სამი საკუთარი კინო-თეატრი: „აპოლლო", „სოლეი" და „არფასტო".

ქართული კინო-წარმოების ლორძინება ხდება პარალელურად საბჭოთა საქართველოს საერთო ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობასთან. ქართული ცხოვრების სოციალური და ზნეობრივი გადახალისება რევოლუციის ნიადაგზე აძლევს კინო-მრეწველობასაც იმ ცოცხალ ძალასა და შემოქმედების ენერგიას, რომელიც ასეთი ჭაბუკური გალაცებით ავსებს ქართული კინოს წარმატებულ წინსვლას.

იგი არ არის დატვირთული ამერიკანიზმის მრავალ უარყოფითი მხარეებით და მანე ტრადიციებით. ქართული კინოს დევიზია—ევროპის მაღალი ტეხნიკის ახალი შინაარსით ამოძრავება.

ამ მხრივ განუზომელია მისი მნიშვნელობა საქართველოს მუშათა კლასისა და განსაკუთრებით გლეხობის გათვითცნობიერების საქმეში.

ქართული კინო უნდა შეიქმნეს ქართული ყოფა-ცხოვრების განახლებისა და მშრომელი მასსების კულტურულად აღზრდის უდიდეს ფაქტორად.

და ის ასეც იქნება.

ამის თავდებია ის გამარჯვება, რომელსაც უკვე მიაღწია ჯერ ნორჩმა საქართველოს კინო-მრეწველობამ

## ჩვენი მსახიობები



ნატა ვაჩნაძე

## ნატა ვაჩნაძე

„სამ სიცოცხლე"-ში

ამბობენ, თითქოს ჩვენი კინოს მუშაკთა ქეა მეტად საშიში იყვეს, ვინაიდან ყოველი მათგანი იძ წამსვე წამოუყენებს დირექციას დაუსაბუთებელ და გარდამეტებულ მოთხოვნას გასამრჯელოს მომატების შესახებ.

მე არა ვფიქრობ, რა თქმა უნდა, რომ ეს სტრიქონები გამოიწვევენ ამ მხრივ დირექციისათვის არასასიამოვნო „მომატების" საბაბს. მაგრამ ეს რომ აუცილებელიც შეიქნეს, მე მაინც არ შემიძლია არ გამოვსთქვა ჩემი აზრი ნატა ვაჩნაძის შესახებ.

დირექცია



გ. გოგიტიძე (დირექტორ-გამგე)

მე ვადასტურებ, რომ ნატა ვაჩნაძემ „სამ სიცოცხლე"-ში ესმას როლის შესრულებით აჩვენა შემოქმედების მეტად ნაყოფიერი ზრდა, რომელსაც ვერ ჩრდილავს ყველა მის მიერ აქამდე შესრულებულ როლები, როგორც პირველდაწყებითი, მოწაფეობის ხანის ვარჯიშობა.

უეჭველია, რომ მისს ასეთ განვითარებას ხელი შეუწყო მეტად ნიჭიერმა კინო-რეჟისორმა პეოესტიანმა, რომელმაც დასდგა სურათი „სამი სიცოცხლე".

მაგრამ ეჭვს გარეშეა ისიც, რომ კინოს რეჟისორიც ვერ შექმნის ნიჭიერ სახიობს, თუ თვით მსახიობში არ არის შემოქმედების უნარი.

ნატა ვაჩნაძეში მე მინდა აღვნიშნო სწორედ ის, რაც ეკუთვნის მხოლოდ მას, რაც შეადგენს მის შემოქმედების თავისებურობას და რისი შექმნა არ შეუძლია არც ერთს რეჟისორს.

რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა ლაპარაკი ნატა ვაჩნაძის სკოლაზე. საკუთარი სკოლის შესაქმნელად მას კიდევ დიდი ზრდა და შრომა სჭირია, მაგრამ რომ მას აქვს ორიგინალური, სრულიად დამოუკიდებელი თამაშის მანერა,—ეს ეჭვს გარეშეა.

ნატა ვაჩნაძის შემოქმედების ორიგინალობა და თავისებურობა მდგომარეობს იმაში, რომ მას, როგორც არავის, ეხერხება ულრმესისა და უმახვილესი შინაგანი განცდის გამოსახვა მინიმალური გარეგანი საშუალებით.

მინიმალური ენერგიით მაქსიმალური მიღწევის პრინციპი მან სავსებით განახორციელა.

ჩვეულებრივად ეკრანზე ჩვენ ვხედავთ ოპერულ მიმიკას, ოპერულ ჟესტს, გადამეტებულს, გაზვიადებულს, მახინჯად გამობურთულ თვალებს და დაკრუნჩხულ თითებს.

ნატა ვაჩნაძე ბრწყინვალე ანტიპოდია ასეთი კინო შაბლონის, ამ მხრივ იგი გამოდის მეტად გამოსახულ რევოლიუციონერად, რომელსაც მოაქვს ეკრანზე გაღრმავებული რეალიზმი.

შაბლონური ტრადიციების მატარებლები მოითხოვენ ნატა ვაჩნაძისაგან დიდს „გარეგან ბრწყინვალებას", რაც უდრის ოპერული შტამპის მოთხოვნას.

ასეთმა ბრწყინვალებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ახალგაზრდა მსახიობ ქალის ახლად გაშლილ ნიჭს.

ამ სტრიქონების დამწერს ოდესღაც მოუხდა რეალისტურ შემოქმედებაში წამოეყენებია „სტატიკო დინამიური" მიმართულება.—მოძრაობის მინიმუმი და შინაგანი აღტყინების მაქსიმუმი. ეს მაშინ პარადოქსად მოეჩვენათ, მაგრამ ახლა ნატა ვაჩნაძე სრული განსახიერებაა ამ მიმართულების.

მთლიანად, რა ქართული შინაგანი განცდის გადმოცემა შესძლო მან ამ მიმართულების მეოხებით.

აიღეთ მისი ესმა, უბრალო მკერავი ქალი, „ბედი"-ს, „იღბალი"-ს გარდუვალობის რწმენით გაჟღენთილი. და თქვენ ხედავთ—როგორ ატარებს ის მათ თავის არსებაში ამ მისტიურ ცრუმორწმუნეობას მთელ თავის მოკლე სიცოცხლის განმავლობაში.

ამ როლში ნატა ვაჩნაძე აღწევს შესაძლებლობას აჰსახოს ეკრანზე ქვეშემეცნების სფერო.

ნერვიული აღელვების გამახვილება, წინაგრძნობა იმისა, რომ უსათუოდ უნდა შეემთხვეს მას რაღაც გარდუვალი, საბედისწერო,—მთელი სურათის მანძილზე გაუნელებელი ინტერესით იტაცებს მაყურებლის გულისყურს.

მე ვათავებ ამ სტრიქონებს იმის მტკიცე იმედით, რომ საქართველოს კინომრეწველობამ მოიპოვა ნატა ვაჩნაძის სახით ახალი შესანიშნავი კინო-არტისტული ძალა, და თუ ეს ფრიად ნიჭიერი მსახიობი ქალი არ მიაძინებს თავის ნიჭს უკვე მიღწეულ გამარჯვების დაფნის გვირგვინებზე და შეუწყვეტლად იმუშავებს ახალი შემოქმედების მისაღწევად, უთუოდ იტყვის მომავალში —გაღრმავებულ-რეალისტური კინო-შემოქმედების ახალ სიტყვას.

ვასილ იგნატოვი.

დირექცია



ა. ნაზაროვი (დირექტორი)


საქართველოს ს. ს. რ. სახკინომრეწველობა ამზადებს და მალე გამოუშვებს ახალ სურათს

„ტარიელ მკლავაძე"

ნინოშვილის მოთხრობით 7 ნაწილად

დადგმა რეჟ. ი. პერესტიანის
ოპერატ. დიღმელაშვილი
მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, მიქაბერიძე, ქადაგიძე.

საქ. ს. ს. რ.
სახკინომრეწველობა
ამთავრებს
რევოლიუციონურ დრამას

ორ სერიად

# „რკინის კოლორტა"

მთავარ როლებში:
ჭიაურელი; ჯაში; ხორავა; ანჯაფარიძე; გარხუდაროვა; ლეინ; ბერიშვილი; ჭიაურელი მე-2-ე.

სცენარი შ. არუსტანოვის
დადგმა—რეჟის. მ. ჭიაურელის
ოპერატორი—ს. პ. ზაბოზლაევი.



ი. ნ. პერესტიანი.

ძნელია და საშინელი თავის თავზე წერა. ვინა ვარ... მოხეტე, რომელმაც შორეულ წარსულში შეიყვარა ლამაზი საქართველო და რომელმაც უღალატა მას მეორე ლამაზის გულისათვის: უკან სქნელი—ჯადოსანი სტიქიონი იყო ზღვისა.. ბათუმიდან, ჯერ კიდევ ყრმა, გავეშურე შორეულ მხარეებისაკენ. ვნახე თითქმის მთელი ქვეყანა. ვცხოვრობდი სრული სიცოცხლით. ვიმყოფებოდი უცხო ცის ქვეშ. ვხვდებოდი სხვადასხვა ხალხს: მშვენიერსა და უცნაურს, მხიარულსა და მწუხარეს. ვხეტიალობდი მარადი მზისა და მარადი ღამის მხარეებში,—და სულის იდუმალ კუთხეში ცოცხლობდა მარად ყმაწვილი კოლხეთის სახე.

იქაც კი, ლამაზ ვენეციაში, რომელსაც ჩემი სული ეკუთვნის, საცა დროით დალესილ ქვებს ახსოვთ ტუფები პერესტიანის გვარის ძველ მოდგმათა, იქაც ვუთხარ ჩემს ალტაცებულ თანამგზავრთ: „და მაინც საქართველო უფრო ლამაზია... რადგან მის მთებში და ზღვებში დაჭერის თავისუფლების ქარი".

მოვედი. ფრანგები ამბობენ: ყოველთვის უბრუნდებიან პირველ სიყვარულს მეც ასე დავემართა. დავბრუნდი საქართველოში, რომელიც დამხვდა ისეთივე მომხიბვლელი და უქვნობელი სიტურფით. მაგრამ ეხლა, უკვე გამობრძმედილმა სიცოცხლით, გარდა სილამაზის იქით ვიხილე მთელი ქვეყანა შინაგან უხრწნელ სულიერ სილამაზისა: ეს სილამაზეა იმ ხალხის, რომელიც ხალხთა მამად მეჩვენება. ღრმა სიყვარულით ვფურცლავ მის ლიტერატურას, ვაკვირდები მის ცხოვრებას და უფრო და უფრო ვუახლოვდები მას. ეს არის სიყვარული: მით უფრო ნაზი, რომ იგი უკანასკნელია, წარმოშობილი პირველი ყმაწვილური სიყვარულის ფერფლიდან.

ი. პერესტიანი.

—

პოსტ-სკრიპტუმი. ი. ნ. პერესტიანი დიდი სახელია კინო-რეჟისურაში კინოს აქვს თავისი საიდუმლოება. ეს საიდუმლოება პერესტიანისათვის არ არის ფარული. მისი თვალი გამახვილებულია: იგი არ გაუშვებს არც ერთ დეტალს, თუ უკანასკნელი ეკრანს არ ახალისებს. კინოს ყველაზე უფრო ეჭირვება „კომპოზიციური მზერა"—მზერა მთელის ერთბაშად. პერესტიანის თვალი სწორედ აქ არის ძლიერი.

ი. ნ. პერესტიანი ძიებაშია ყოველთვის. ყოველი მისი სურათი თითქმის ახალი რკალის გახსნაა. „სურამის ციხე" მის დადგმებში პირველია ნეორეალიზმით (ჩვენში და ხსენებული შენიშვნით). მეორე—„წითელი ეშმაკუნები". ამ რკალმა მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიაღწია გამოიწვია. მის შედევრს უთუოდ „სამი სიცოცხლე" შეადგენს, რომელიც ახალი ფრაზაა მისი შემოქმედებისა.

ამჟამად ი. ნ. პერესტიანი ემზადება „ხაჯი მურატის" დადგმისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სურათში მოცემული იქნება ჯერ კიდევ ხელუხლები გმირული ეპოსი ჩრდილო კავკასიისა. ეს სურათი ევროპაშიაც დიდს ინტერესს გამოიწვევს.

ი. ნ. პერესტიანი „ჭირვეულია" მეტად. ეს „ჭირვეულობა" მისი არტისტული ნერვია. ცეცხლიან ხელოვანს ეს ნერვი ახასიათებს ამისათვისაა, რომ „გუნებას" დიდი ადგილი უკავია ი. ნ. პერესტიანის შემოქმედებაში. ეს „გუნება" ხელს არ უშლის მას, რომ იყოს იგი მკაცრი და სასტიკი სურათის გადაღების დროს. ცნობილია ფაქტი, რომ არტისტები თამაშობისას თითქმის სომნამბულებად იქცევიან მისი რკინისებური მზერის ქვეშ.

ი. ნ. პერესტიანი კიდევ ბევრ სურათს აჩუქებს საქართველოს, რომელზედაც იგი ასეთი სიყვარულით ლაპარაკობს.

ლ. მ

## ქართული ყოფაცხოვრება „სამ სიცოცხლეში"

სახელმწიფო კინო-მრეწველობის მიერ უკანასკნელად გამოშვებულ ფილმა „სამ სიცოცხლეში" სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად ყურადღებას იპყრობს ქართული ყოფა ცხოვრების გამომხატველი სცენები. რეჟისორ პერესტიანს არ დაუკლია არავითარი ცდა, რათა ქართული ყოფა-ცხოვრება შესაფერისად ყოფილიყო გამოსახული, თუმცა არც ისე ადვილია მისი უნაკლოდ გადმოცემა, ვინაიდან ჩვენი ყოფა ცხოვრება მრავალფეროვანია,—იგი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარ ფორმებში იცვლება. საჭიროა სათანადო დაკვირვება და შეჩნევა ამ განსხვავებულ თავისებურებათა, რათა მისი გადმოცემის დროს ადგილი არ ექნეს დიდად ნჯებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ „სამ სიცოცხლე"-ში სრულიად არ მოიპოვება ყალბი ადგილი. ამ სურათის საშუალებით მაყურებელი უმთავრესად ეცნობა დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრებას.

სასიხარულოა ის მოვლენა, რომ პერესტიანმა, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც საქართველოში მოღვაწეობს, ასე საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი ხალხის ცხოვრების ალღოს ალება.



„დაკარგული განძი".

მან ნათლად დაგვანახა ამ ცხოვრების არამც თუ მთავარი მხარეები, არამედ უბრალო წვრილმანებიც არ დატოვა უყურადღებოდ.

საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ სახკინმრეწველობის თითქმის ყველა სურათებში ისე, როგორც ეს ჩვენ „სამ სიცოცხლე"-ში დავინახეთ, ქართული ყოფა-ცხოვრების გამოსახვას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ამ მხრივ ის ხაზი, რომელიც თავის მუშაობის დაწყებისთანავე აილო სახ. კინო-მრეწველობამ სწორი გამოდგა. და ჩვენც სახკინო-მრეწველობის



„ტარიელ მკლავაძე".

მთავარ დამსახურებას იმაში ვხედავთ, რომ მისი მეოხებით ასე მძლავრად იელვა ეკრანზე ქართულმა ყოფა-ცხოვრებამ მთელი თავისი მიმზიდველობით.

დ. ცაგარელი

## ლანდების სასწაული

ამჟამად ლენინგრადის კინოში „კოლიზეი" აჩვენებენ საინტერესო ატრაქციონს „ლანდების სასწაული", რომელმაც დიდი გამარჯვება მოიხვეჭა ნიუ-იორკში, ლონდონში და ევროპის სხვა ქალაქებში.

„ლანდების სასწაული" არის თავისებური ჩინური ლანდები—სილუეტები ეკრანზე, რომელშიაც გამოყენებულია სტერეოკინემატოგრაფიის ახალი მიღწევები.

ჩვეულებრივ „ჩინურ ლანდებში" ეკრანის უკან მოთამაშე აქტიორებს ანათებენ და მათი სილუეტები ისახებიან ეკრანზე. „ლანდების სასწაულში" აქტიორებს ანათებენ ერთდროულად იმავე დროს ორი პროჟექტორით. ეკრანზე ჩნდება ორი ჩრდილი ერთი მეორეზე ერთი პროჟექტორი იძლევა წითელი ფერის სინათლეს, მეორე კი ლურჯს. ამავე ფერის არიან ჩრდილები ეკრანზე.

ყოველ მაყურებელს ეძლევა სპეციალ სათვალეები, რომლის ერთი მინა წითელია და მეორე ლურჯი. თვითეული თვალი ამის გამო ხედავს მხოლოდ ერთ ჩრდილს, რადგან მეორე ჩრდილი, მინის ფერი, ქრება უკანასკნელით შეთვისებული.

სტერეოსკოპიულ ჩრდილების ილუზია სრულია. ლანდები თითქოს სცილდებიან ეკრანს და მოძრაობენ მაყურებელთა თვალწინ.

## კინო-წარმოება და კინო-თეატრები

ყველა ქვეყანაზე უფრო კინო წარმოება ამერიკაშია განვითარებული. კალიფორნიის ქალაქი ჰოლივუდ საფუძვლიანად ითვლება მსოფლიო კინო-წარმოების ცენტრად. ამ ქალაქში 34 ფილმების დასამზადებელი [illegible] მაღლობაში ამერიკაში [illegible] 2000 ფილმზე მეტი, რომლის დიდი უმრავლესობა ქალაქ ჰოლივუდს ეკუთვნის. შეერთებულ შტატებში 350.000 კაცზე მეტი მუშაობს კინოს დარგში.

მეორე ადგილი კინო-წარმოებაში უჭირავს გერმანიას. ბერლინში მუშაობს 19 ატელიე. გერმანიის შემდეგ [illegible] ადგილი უჭირავს [illegible], მერე ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას.

კინო-თეატრების რიცხვითაც ამერიკას უჭირავს პირველი ადგილი. იქ 26 000 კინო-თეატრი ითვლება, ექვსჯერ მეტი, ვინემ გერმანიაში, სადაც სულ 4.000 თეატრია. ამჟამად ბერლინში შენდება უდიდესი შენობა კინო-თეატრისათვის, რომელიც [illegible] ათას მაყურებელს დაიტევს. იგი იქნება უდიდესი მსოფლიოში.

იაპონიის ფილმები იმით განსხვავდებიან ევროპიულიდან, რომ მათ წარწერა არა აქვთ. წარწერის მაგივრად სურათის შინაარსის საზოგადოებას უთხრობს სპეციალი ამხსნელი. გარდა ამისა ფილმები ორნაირია: მოქმედების და კოსტიუმების. ამისდა მიხედვით თეატრებიც ორნაირია: კოსტიუმების ფილმების მაჩვენებელი ცალკე და მოქმედებისა კიდევ ცალკე

# საქართველო ეკრანზე

კინოს უყვარს ნატურა. ამით სხვაობს იგი ყოველ სხვა ხელოვნებისაგან.

ვიწყო მტკიცება, რომ საქართველო ულამაზესი კუთხეა მიწის პლანეტაზე?! კინომ ნახა საქართველო. კინომ შეიყვარა საქართველო. კინო ვერ უღალატებს საქართველოს.

რა არ არის აქ?

გნებავთ გამოლეული ველები—

ნახავთ ალაზნისა და რიონის დარბილებულ ველებს

გნებავთ ჯადოთი მოსილი ზღვის პირი—

ნახავთ შავი ზღვის პირს, რომელიც ბათუმის ხაზზე უფრო ლამაზია ვიდრე ბოსფორი (უკანასკნელს მარტო ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ორპირია).

გნებავთ მიუვალი სალი კლდეები, საცა ბუნება დროს გვერდს უვლის და ადამიანის ხელს ვერ იკარებს, თუ არ იკარებს.

ნახავთ პირქუშ ხევსურეთს და გარინდებულ დარიალს.

გნებავთ დარბილებული მთები, რომლებიდანაც თვალს მთელი არე ზურმუხტის თვალად ეჩვენება—

ნახავთ მთებს ჯავახეთისას, საიდანაც გადახედავთ თვალუწვდენ ლანდშაფტს, უხილავი ხელით მაგიურად შეზავებულს.

გნებავთ: „ისტორია"—„დალი დროის—„სუნთქვა წარსულის"—

ამასაც ნახავთ: თუ გინდ ყოველ ნაბიჯზე.

გნებავთ ქალაქის (როგორც „ქალაქის") სილამაზე—

გადახედეთ ტფილისს კოჯორის ხეობიდან.

და სხვა და სხვა: მრავალი, უთვალავი...

კინოს მზე უყვარს.



„რკინის კოლორტა".

მზე საქართველოში სახვეტია. რვა თვის განმავლობაში (თუ მეტის არა) შესაძლოა გადაღება. თვითონ მზე არ არის აქ არც ისეთი მცხუნარე, როგორც სპარსეთშია, არც ისეთი აუტანელი, როგორც თურქესტანშია. ჩვენი მზე „ლბილია". კინოს ეჭირვება ერთგვარი „არეს სინათლე". ამ განათებას საქართველოს მზე უხვად იძლევა. ვერ ვითარი პროჟექტორი ვერ გასწევს მის ნაცვლობას. ან კი რა გასაგონია—„მზესნაცვალი"?!

არის კიდევ ერთი მხარე მნიშვნელოვანი.

კინოს უყვარს ტიპები: არა გრიმით გაკეთებული, არამედ ნამდვილი. საქართველოში თქვენ შეხვდებით ყოველნაირ ტიპს: დაწყებული ასსარგადონიდან, გათავებული ბერდიჩეველ ისრაელით. აქ გვხვდება პროფილი: ებრაული, ეგვიპტური, ხეტტური, ქალდეური, ასსირიული, რომაული, ჰელლენური და სხვა. ხშირად გხვდება ქუჩაში ისეთი ვინმე, რომელიც პირდაპირ ითხოვს ეკრანზე გადაღებას. ბელლეტრისტებს ჯერ ჩვენში არც კი აღუწერიათ (არ უხილავთ!) რომელიმე „აისორი" (ასსურელი) ტფილისის მივარდნილ კუთხეში, რომლის სახეში საუკუნოების ამოკითხვა შეიძლება. ასეთი ტიპები კინოსათვის „მისწრებაა".

კინოს უყვარს ბიოლოგია და რასსა, ჯიში და რიტმი. გამოიყვანეთ ორი ცხენი ეკრანზე: ერთი ჯაგლაგი და მეორე „არაბი". თქვენ წასვლამდე დაინახავთ, რომ პირველი აღუნებს კინოს და მეორე აცხოველებს მას. საქართველოში რასსა და რიტმი მოცემულია მზესავით. მაგალითები ბევრი არა საჭიროა. ნატა ვაჩნაძე მარტო ერთი გამოსვლით ეკრანზე უკვე დატყვევებაა უკანასკნელის. მისი სილამაზე რასსით იმარჯვებს სურათის ყველა ხვეულებში. დიმიტრი ყიფიანი თავიდან ბოლომდე რიტმია მას აქვს ჯეირანის იერი და ვეფხის კუნთი. ბიოლოგიური რიტმია, რომ მას ასე გაიმარჯვა ეკრანზე.

რაღა საჭიროა წინათქმა, რომ საქართველოში კინოს ბრწყინვალე მომავალი აქვს?!

გიმმირ.

? ემმაკის ზნივები!!



„ტარიელ მკლავაძე" ქადაგიძე.



„ტარიელ მკლავაძე".

საქართველოს ს. ს. რ.
სახკინომრეწველობა
იწადება
დასადგმად

„ხაჯი-მურატ"

ლ. ტოლსტოის
რომანით.

დადგმა
ი. ნ. პერესტიანის.

საქ. ს. ს. რ.
სახკინომრეწველობის
თეატრებში
ა...ელი...ტა.

ანტა... ოდელი... უტა.

არფასტო
წოლები
აპოლლო

„აელიტა“.



კუინჯი.

# სცენარის საკითხი

კინოს სცენარი ლიტერატურის თავისებური დარგია. მას ჩვენ ვერ გამოვყოფთ კინო-ხელოვნებიდან. ამიტომ სცენარის ღირებულების შეფასება შეიძლება მხოლოდ კინოს თვალსაზრისით.

რევოლიუციამდე კინო ხშირად ლიტერატურას მიმართავდა. თანამედროვე კინო კი ვერ კმაყოფილდება ლიტერატურით. მისი მთავარი ნერვია მძაფრი დინამიკა, რომელსაც ვერ მოგვცემს ვერც ლიტერატურული რომანი, ვერც დრამა. რევოლიუციამ ძლიერ მწვავეთ წამოაყენა სცენარის საკითხი. შესაფერი ლიტერატურული მასალა თითქმის არ მოინახებოდა. აღმოჩნდა, რომ სცენარისათვის საჭიროა თავისებური შემომქმედი. მართლაც, თუ გადავავლებთ თვალს უკანასკნელი წლების კინო-წარმოებას, დავრწმუნდებით, რომ სცენარის მხრივ დიდი სიღატაკეა. უკრაინის გამოცემები, „ოსტაპ ბანდურა“, „ტყის მხეცი“, ჩრდილოეთ-დასავლეთის კინო-მრეწველობის სურათები: „კნიშის ბანდა“, „წითელი პარტიზანები“ და ბევრი სხვა, გადამღერებაა „წითელი ეშმაკუნების“. არც ერთი ახალი ხაზი, ახალი შემეცნება სამოქალაქო ომის.

ნაცვლად ცოცხალი კინემატოგრაფიული ინტრიგისა და ფანტაზიისა, რომელიც სინამდვილიდან უნდა გამოდიოდეს, სცენარის ავტორები იძლევიან ან ტიტველ პოლიტიკურ ფორმულას, ან ცრუ-რევოლიუციონურ ფრაზას.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ გამოცხადებული კონკურსი. წარმოდგენილ სცენარების შინაარსს და ტეხნიკურ მხარეს რომ სრულიად არ შევეხოთ, ჩვენ მაინც ბევრ რამეს გვეტყვის მათი სათაურები: „დადექი რევოლიუციის ყარაულზე“, „რევოლიუციის ცეცხლში“, „წითელი ველი“, „წითელი პეტრე“, „ადექ კრულვით დაღდასმულო“, „რას აძლევდა ბურჟუაზია პოლიტიკურებს“, „კაპიტალისტების ბრჭყალებში“. ცეცხლი წითელი... რევოლიუცია—დიდი სიტყვები! მაგრამ, სამწუხაროდ, ძნელია ამ სცენარებში ნამდვილი რევოლიუციის სუნთქვის აღმოჩენა! როგორ პრიმიტიულად და შაბლონურად უნდა გრძნობდე რევოლიუციას, რომ ამ სიტყვებით ამოწურო იგი!

უკვე გაისმის მუშათა ხმები კ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ რევოლიუციის და სამოქალაქო ომის **შაბლონით მოცემა** უკვე მოსაბეზრებელი გახდა ფართო მასსებისთვის. ამერიკული ტრიუკებიც სიცილს იწვევს თავისი უადგილობით. საჭიროა რევოლიუციის მეტად ღრმად შეგრძნობა, მისი მოცემა მეტი სიცოცხლით.

ამის მოცემა არ შეუძლია იმ სცენარების სპეცებს, რომლებიც რევოლიუციას და სამოქალაქო ომს თავისი პროფესიონალური ინტერესთა ზომით მიუდგებიან. უნდა მოვიდეს სცენარის ახალი ოსტატი, რომელიც თვით იწვოდა რევოლიუციის რეალურ ცეცხლში, რომელმაც გამოიტანა სამოქალაქო ომიდან მწარე გამოცდილება.



კ. ჯაში.

რკინის „კოლორფა“.

და ეს ოსტატი მოვა! შეიძლება მან არ მოიხსენიოს არც „წითელი პეტრე“, არც „კაპიტალისტის ბრჭყალები“,—მაგრამ მის სცენარში რეჟისორი და აქტიორი იგრძნობენ რევოლიუციის ჭეშმარიტ სუნთქვას, ცეცხლს და მით აღბეჭდავენ ტიტანიურ ბრძოლას ეკრანზე.

გ. ც.

# კინოს ამოცანები სოფლად

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ კულტურულად ჩამორჩენილ გლეხობაში კინოს შეუძლია შეასრულოს ფრიად მნიშვნელოვანი როლი. კინოს აქვს მაგიური საშუალება უცრად შეანათოს იქ, სადაც წიგნი ან სრულებით ვერ შედის, ან ძალიან ძნელი [illegible]

კინოს აუდიტორიისათვის გამოდგება წერა-კითხვის უცოდინარიც, თუ სურათები შერჩეული იქნება შესაფერად. არის მთელი რიგი საკითხების, რომლის გაშუქებას სოფლის წინაშე ექნება ნაყოფიერი შედეგები სწორედ კინოს საშუალებით.

ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის გარდა, რომლისთვისაც შესაძლოა გამოყენებულ იქმნას შესაფერად შესრულებული სურათები, კინოს ექნება უდიდესი მნიშვნელობა ათასგვარი ცრუმორწმუნოების ბურუსის გასაფანტავად.

ამისათვის საჭიროა სათანადო სცენარების დამუშავება.

ამის გარდა, განუზომელი მნიშვნელობა ექნება სოფლის მეურნეობისათვის მეცნიერულად დამუშავებულ სამეურნეო შინაარსის სურათებს: პირუტყვების მოშენება, აბრეშუმის მოვლა, ტყის მოშენება და მოვლა, სხვადასხვა სამეურნეო მუშაობათა გაუმჯობესებული საშუალებებით შესრულება და სხვ.

ვინ მოსთვლის რამდენი საჭირო და სასარგებლო ცოდნის გადაცემა შეუძლია კინოს გამოცდილ აგრონომებისა და სხვა სპეცების დახმარებით.

სოფლელი.

„აელიტა“.



ინჟენერი ლოსი მარსზე აელიტასთან.

# კინო

თანამედროვე ადამიანის განცდა მეტად გამახვილებულია.

დრო ახლა სულ სხვა ტემპით მიქანობს, ვინემ წინად: ეხლანდელი წუთი უდრის „მშვიდობიანი“ ეპოქის წელიწადს, იქნებ მეტს.

თანამედროვე დიდი ქალაქი შეუჩერებელი დინამიურობაა.

შიშველი ნერვი მეტად მგრძნობიარე [illegible]

მუდმივი ბოლგვა, შეუსვენებელი ჭრიალი და სულ ახალი პერსპექტივების ძიება ცხოვრების ყოველ ასპარეზზე,—აი გზა ჩვენი დროის მოქალაქის.

ახალ დროს ქარიშხალივით მოჰყვა ახალი ხელოვნება—კინო.

კინოს ეკრანი განსახიერებაა ჩვენი დროის ადამიანის ანთებული ტვინის.

ვილას სცალია ახლა დრამისათვის, სადაც ოთხი საათი უნდა უყურო რამდენიმე კაცის მოსაწყენ საუბარს.

დღეს ადამიანს სწყურია წყალვარდნილივით აქაფებული სანახაობა.

კინო ერთ საათში ელვისებური სიჩქარით გაატარებს აცახცახებულ ეკრანზე 400 გვერდიანი წიგნის შინაარსს.

კინომ არ იცის მაყურებლის ერთ ადგილზე გაყინვა.

კინო, მადლობა ჩრდილს!—მუნჯია! და ამიტომ მრავალმეტყველი.

კინო უხვია და მრავალფეროვანი. მან არ იცის ოთხი კედელი, რომელთა შორის პატიმარივით ფართხალებს ძველი დრამა.

კინო არის ჰაერი, მზე, დაუსრულებელი სივრცე და ქარიშხალის მოძრაობა.

ეკრანი.

კინო-ილიუსტრატორი



ს. ორლანსკი.

მეხობრული შარჟი




მ. ჭიაურელი.

# ანტა-ოდელი-უტა...

დედამიწის რადიოსადგურებს ესმოდათ გაუგებარი და უცნაური სიტყვები.

ეს სიტყვები მიიღო, სხვათა შორის, მოსკოვის რადიოსადგურმაც, სადაც მუშაობდნენ ინჟენერები ლოსი და სპირიდონოვი...

თავ სუფალ დროს ისინი ანდომებდნენ მარსზე გასაფრენ აპარატის—„ინტერპლანეტ ონევი“-ს გამოგონებას.

გაუგებარი ხმები ინჟენერ ლოსში იწვევდნენ ფიქრებს მარსის უცნაურ ცხოვრებაზე და მის მფლობელ ქალზე აელიტაზე...

ლოსის ცხოვრება დედამიწაზე უხეიროდ ეწყობოდა...

სპირიდონოვს ესტუმრება მისი „ყოფილი“ ცოლი ელენე, რომელიც თან ჩამოიყვანს თავის საყვარელს ერლიხს. სპირიდონოვს თავდავიწყებით უყვარს ელენე და მთელ თავის შემოსავალს ფლანგავს მისს სასიამოვნოდ და თანდათან ზნეობრივად ეცემა.

ერლიხი კი ანგარებით გატაცებული ეტრფიალება ლოსის ცოლს—ნატაშას. შემთხვევით აღმოჩენილი წერილი... პირველი ეჭვები...

ერთხელ ლოსი როგორღაც მოასწრებს ერლიხს თავის ცოლთან და ჰკლავს ცოლს. შემდეგ მოიტაცებს სპირიდონოვის აპარატს და ფორმულებს და გადასწყვეტს მარსზე გაფრენას.

მასთან მიფრინავენ წითელ-არმიელი გუსევი და კრავცოვი.

ლოსი, გუსევი და კრავცოვი მარსზე არიან... სადაც მათ ინჟენერთა მეთაურის ტუსკუბის მიერ მოწყობილ ხიფათისაგან იხსნის აელიტა. ლოსი და გუსევი ტუსკუბს გაექცევიან და თავს იფარავენ „მიწის“ ქვეშ, სადაც ისინი აწყობენ მარსელ მონების აჯანყებას და ამხობენ ტუსკუბის ძალაუფლებას. მაგრამ აქ აელიტა უღალატებს ლოსს და სასახლის რაზმის დახმარებით ამარცხებს აჯანყებულებს და აცხადებს თავს მარსის ერთადერთ მბრძანებლად.

ღალატით გაბრაზებული ლოსი სტაცებს ხელს აელიტას, რომ გადააგდოს იგი გამხეცებულ მონების ბრბოში და... გამოიღვიძებს.

თურმე ყველაფერი ეს სიზმარში უნახავს, როცა სადგურზე დასძინებია.

საქართველოს ს. ს. რ.
სოციალური უზრუნველყოფის
სახალხო კომისარიატის მიერ
გამოცემული
კინო-სურათი

7
ნაწილად

„ქარიშხალის წინ“
მალე დამთავრდება

საქართველოს ს. ს. რ. სახკინომრეწველობა ამზადებს —დასადგმად—

— „წითელი ეშმაკუნები"-ს მესამე და მეოთხე სერიას: — „შრომის ფრონტზე" —

დადგმა ი. ნ. პერესტიანის.

# კინო-ქრონიკა.

**„ტარიელ მკლავაძე".**

გათავდა გადაღება ახალი სურათის—„ტარიელ მკლავაძე" (გ. ნინოშვილის რომანით „ჩვენი დროის რაინდი"). დადგმა—რეჟისორ პერესტიანის. მთავარ როლებს სურათში ასრულებენ: ვაჩნაძე, შიქაბერიძე და ქადაგიძე.

**„რკინის კოლორტა".**

საქართველოს სახკინომრეწველობის მორიგი ახალი სურათია „რკინის კოლორტა". დადგმა—რეჟისორ ბარსკის. სურათში ასახულია რევოლიუციონური ბრძოლა, დაწყებული 1905 წლიდან 1920 წლამდე. მთავარ როლებს ასრულებენ: კ. ჯაში, მ. ჭიაურელი, ვ. ანჯაფარიძე და ხორავა.

**კინო-აპარატების ტრანსპორტი.**

სახკინომრეწველობამ ამ დღეებში მიიღო გერმანიიდან დიდი ტრანსპორტი კინო აპარატების და გამანათებელ მოწყობილებების, რომელნიც წარმოადგენენ კინემატოგრაფიის უკანასკნელ მიღწევებს. მათი დახმარებით სახკინომრეწველობას საშუალება ეძლევა თავისი პროდუქციის ტეხნეკური მხრით დიდი გაუმჯობესების.

**„აელიტა".**

სახკინომრეწველობამ შეიძინა განსაკუთრებული უფლება სურათი „აელიტის" დადგმისა ტფილისში. სურათი ერთსა და იმავე დროს იქნება ნაჩვენები კინო თეატრებში: „არფასტო" და „სოლეი". „აელიტა" წარმოადგენს „მეჟრაბპომ-რუს"-ის დიდ ნაწარმოებს. იგი დადგმულია რეჟისორ პროტოზანოვის მიერ, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა. სურათი წარმოადგენს ალ. ტოლსტოის ცნობილი რომანის გაცენიურებას.

**„ხაჯი-მურატ".**

ახლო მომავალში სახკინომრეწველობა შეუდგება სურათ „ხაჯი მურატის" გადაღებას. სურათს დგამს რეჟისორი პერესტიანი, რომელიც ამ ალი ჩრდილო-კავკასიაში გაემგზავრება წინასწარი მუშაობისათვის.

**სამადლობელი სიგელი.**

სახკინომრეწველობამ მიიღო სამადლობელი სიგელი და ძვირფასი ბროლის საჩუქარი ვლადიმერ—რიაზანის ქიმიკების კავშირის განყოფილებისგან. სიგელში აღნიშნულია სახკინომრეწველობის ნაყოფიერი მუშაობა.

**ქართული ფილმები ლატვიაში.**

სახკინომრეწველობამ მიიღო ლატვიიდან წინადადება „წითელი ეშმაკუნების", „სურამის ციხის", „მამის მკვლელის" და სხვა სურათების გაგზავნის შესახებ.

**ქართული ფილმები გერმანიაში.**

სახკინომრეწველობამ მიიღო გერმანელ ფირმის „ვესტი"-ს წინადადება სახკინომრეწველობის სურათების ექსპლოატაციის შესახებ. მთელ დედამიწაზე „ვესტი" ვალდებულებას იღებს მხოლოდ რეკლამაში დახარჯოს 5000 დოლლარი. აღსანიშნავია, რომ „ვესტში" დიდ როლს თამაშობს სტინესის კაპიტალი.

## კინო გაბჭოთა კავშირში

**„საბკინო".** ს. ს. რ. კ. კომისართა საბჭომ განიხილა და მოიწონა ფოტო-კინემატოგრაფიული სააქციონერო საზოგადოება „საბკინო"-ს წესდების პროექტი. საზოგადოების დამფუძნებლებად ითვლებიან: რ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის ს. მ. უ. ს. და განათლების კომისარიატი, ს. ს. რ. კავშირის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, მოსკოვის და ლენინგრადის გუბაღმასკომები. საზოგადოების მიზანია რ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ ყველა კინო-წარმოების მუშაობის გაერთიანება და მიმართულების განსაზღვრა. მრეწველობის ძირითადი თანხა უდრის 1 მილ. ოქროს მანეთს, 1000 პაიად დაყოფილს. საზოგადოება დაიწყებს მუშაობას მომავალი წლის 1 იანვრიდან.

## კინო უცხოეთში

**კინო-ტეხნიკა საფრანგეთში.** ახლად გამოშვებულ ფრანგულ სურათში „დანგრეული ქალაქი" განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ კინო ტეხნიკის საოცარი მიღწევანი. ეკრანზე ინგრევა ეიფელის კოშკი, მადლენის ტაძარი და პარიზის სხვა მრავალი ისტორიული შენობა. მიუხედავად საშინელ ტეხნიკურ დაბრკოლებათა ნგრევის სცენები აოცებენ მაყურებელს თავისი განსაცვიფრებელი რეალობით.

**კინემატოგრაფის 30 წლის თავი** როგორც უცხოეთის პრესა აღნიშნავს, მიმდინარე წელს სრულდება კინემატოგრაფის არსებობის 30 წლის თავი. პირველი კინო-თეატრი „ცოცხალი სურათები", სენსაციური გამოგონება ლიონელ ლიუმიერის,—დაარსებულა 1895 წ.

**კინო-თეატრი მიწის ქვეშ.** ვინაიდან კინო-თეატრის ახალი შენობის ასაგებად დიდ ქალაქებში თავისუფალი ადგილი ძნელად საშოვარია, ბერლინში განუზრახავთ ააშენონ თეატრის შენობა მიწის ქვეშ. კინოს შეუძლია მშვენივრად მოეწყოს მიწის ქვეშ: დღის სინათლე მას არ სჭირია.

**კინო გამოფენა.** 1925 წ. თებ. 21-დან მარტის 1-მდე ბერლინში მოეწყობა კინემატოგრაფიის გამოფენა სახელწოდებით „კინო და მისი ტეხნიკა". გამოფენის მიზანია—ცხადყოს თუ როგორ იპყრობს თანდათან კინო მრეწველობის ყველა დარგს. გამოფენა გააშუქებს აგრეთვე ექსპონატების საშუალებით კინემატოგრაფიის ისტორიას.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი:
საქ. ს. ს. რ. სახკინომრეწველობა

სააქციონერო საზოგადოება სახკინომრეწველობა

ტფილისი, კეცხოველის ქ. 7, ტელ. 16—13, 14—02.

გამოშვებულია გასაქირავებლად საკუთარი წარმოების შემდეგი სურათები:

„არსენ ჯორჯიაშვილი" — რევოლიუციონური დრამა. დადგმა ი. პერესტიანის

„სურამის ციხე" — დანიელ ჭონქაძის მოთხრობით. დადგმა ი. პერესტიანის.

„წითელი ეშმაკუნები" — ბლიახინის რომან. თ. დადგმა ი. პერესტიანის. ოპერატორი დილმელაშვილი

„მამის მკვლელი" — ალ. ყაზბეგის რომანით. დადგმა ა. ნაზაროვის

„ყაჩაღი არსენა" — ხალხური ლეგენდა. დადგმა ვ. ბარსკის. ოპერატორი დილმელაშვილი.

„დაკარგული განძი" — მორსკოის რომანით. დადგმა ა. ნაზაროვის. ოპერატორი დილმელაშვილი.

„სამი სიცოცხლე" — გ. წერეთლის რომანით. დადგმა ი. პერესტიანის. ოპერატორი დილმელაშვილი

„ტარიელ მკლავაძე" — ეგ. ნინოშვილის მოთხრობით. დადგმა ი. პერესტიანის. ოპერატ. დილმელაშვილი

„რკინის კოლორტა" — სცენარი არუტანოვის. დადგმა ვ. ბარსკის. ოპერატორი ზაბოზლაევი.

საქართველოს ს. ს. რ. სახკინომრეწველობა ამზადებს ახალ სურათს „ამბავი სამანიშვილის" — სცენარი გ. კუპრაშვილის. დადგმა: ა. წუწუნავასი.

ეშმაკის — სხივები!!!

ანონსი! — სახკინომრეწველობის თეატრები — ანონსი!

**არფასტო** — „გრაფი მონტე-ქრისტო" 5 სერიად. სურათი წავა ორ-ორ სერიად ერთად.

**აპოლლო** — I „საძაგელი ბიჭი" და „ცირკის ბავში" (ჯეკი კუგანის მონაწილეობით) II „ფოლადის წრეები" (4 და 5) („მეჟრაბპომ-რუსი"-ს გამოც.) III „ქალი გზა ჯვარედინზე" (მარგერიტის რომანიდან „La garçon")

**სოლეი** — I „ძმა-ბიჭები" („გოსკინო"-ს წარმოება) II „სიცოცხლე მოგვიწოდებს" ნორა ტალმეჯის მონაწილეობით.

მალე იქნება — **აელიტა** — მალე იქნება